community

The New Apostolic Church around the world

01/2023/GE

2023 წლის დევიზი:

ვიმსახურეთ და ვმართოთ ქრისტესთან ერთად

რედაქციისგან
ვიმსახურეთ და ვმართოთ ქრისტესთან ერთად

ღვთისმსახურება
ვიაროთ რწმენით

საეკლესიო მოძღვრება
ქალების ორდინაცია: საფუძვლები

New Apostolic Church
International

რედაქციისგან

3 ვიმსახურეთ და ვმართოთ ქრისტესთან ერთად

ღვთისმსახურება

4 ვიაროთ რწმენით

რეგიონალური ნაწილი

10 სამხარეო მოციქული რაინერ შტორკი აზერბაიჯანსა და საქართველოში

საბავშვო კუთხე

12 იესო მოწაფეებს ფეხებს ბანს

14 სტუმრად დევიდთან ნდოლაში (ზამბია)

დოქტრინა

20 ქალების ორდინაცია: საფუძვლები

Titelfoto: ოლივერ რიუტენი
Rückseitefoto: სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ახსე

სატიტულო ფურცელი
გამომცემელი: ჟან-ლუკ შნაიდერი, იუბერლანდშტრასე 243, 8051 ციურიხი / შვეიცარია
შპს ფრიდრიხ ბიშოფის გამომცემლობა, ფრანკფურტერშტრასე 233, 63263 ნოი-იზენბურგი / გერმანია
რედაქტორი: სიმონ ჰაინიგერი

ვიმსახუროთ და ვმართოთ ქრისტესთან ერთად

ძვირფასო ძმებო დ დებო,

გადავხედოთ ამ მოვლენებით აღსავსე წელს, როცა უფლის სიახლოვისა და თანხლების განცდა ასე თუ ისე შევძელით. რადგან ერთი რამ ნებისმიერ შემთხვევაში კვლავ ძალაშია: ღმერთმა 2022 წელსაც განაგრძო ხსნის გეგმა და უფრო ახლოს მიგვიყვანა მიზანთან - პირველ აღდგომაში მონაწილეობასთან, რამეთუ შემდეგ მშვიდობის სასუფეველში ქრისტეს მღვდლებად ვიმსახუროთ და ვმართოთ. ისე, როგორც ამას გამოცხ. 20, 6-ში ვკითხულობთ.

ვინც მშვიდობის სასუფეველში ქრისტეს ავტორიტეტით იქნება აღჭურვილი, დაუბრკოლებლად შეძლებს მისი მსახურებისა და ამოცანის შესრულებას. ეს მსახურება ადამიანებისათვის სახარების ქადაგებასა და მათ ღმერთთან მიყვანას გულისხმობს. მმართველობა მსოფლიო ბატონობას არ ნიშნავს, არამედ ქრისტეს უზენაესობაზე მოწმობას, როგორც ღვთიური სიყვარულისა და გულმოწყალების განსახიერებაზე.

იესომ დღესვე მოგვიწოდა მისი აზრისამებრ მსახურებისა და მმართველობისკენ. აქედან გამომდინარე, 2023 წლის დევიზი ასეთია: ვიმსახუროთ და ვმართოთ ქრისტესთან ერთად.

ჩვენი მსახურება დღეს იმაში მდგომარეობს, რომ დავტოვოთ ჩვენი ყოფითი ცხოვრება, რამეთუ ღვთისმსახურებას დავესწროთ და ერთად ვცეთ თაყვანი ღმერთს. და კიდევ, იესოს იმით ვემსახურებით, რომ სახარებას ცხოვრებაში ვახორციელებთ. ეს მსახურება კი მოყვასისათვის მსახურებას გულისხმობს - გვიყვარდეს იგი ისე, როგორც ჩვენ ვუყვარვართ იესოს.

2023 წელსაც ქრისტესთან ერთად მმართველბისკენ ვართ მოწოდებულნი. თუმცა არა მოყვასზე ძალაუფლების განხორციელებისათვის, არამედ, ქრისტეს შემწეობით, საკუთარ აზროვნებასა და ქცევაზე გაბატონებისათვის:

- მისი სიყვარული არ ხლეჩს, პირიქით, აკავშირებს.

ფოტო: საერთაშორისო ახსე

- განცდილი დამარცხებების შემდეგ მისი წყალობით კვლავ წელში ვიმართებით.
- მისი სიბრძნე საკუთარ შეცდომებზე სწავლაში გვეხმარება.

ამდენად, არც ცდუნებების წინაშე ვართ უმწეონი და ჩვენს გულის კართან ჩასაფრებულ ცოდვაზე გაბატონება შეგვიძლია. იმის საუკეთესო გზა, რომ შევინარჩუნოთ კონტროლი საკუთარ ცხოვრებაზე და დავიცვათ იგი, არის ის, რომ ქრისტეს ჩვენი გულის განმგებლობის საშუალება მივცეთ.

ყველა მოციქულთან ერთად კურთხეულ და ბარაქიან ახალ წელს გისურვებთ.

საუკეთესო სურვილებით

ჟან-ლუკ შნაიდერი

ფოტოები: ფილიპინების ახსე

ვიაროთ რწმენით

2. კორ. 5, 7

„ვინაიდან რწმენით დავდივართ და არა ხილვით.“

ჩემო საყვარელო ძმებო და დებო, მინდა გულახდილად გითხრათ, რომ ჩემთვის ნამდვილად დიდად სასიხარულოა თქვენთან აქ, ფილიპინებზე, ყოფნა. იცით, რომ დიდი ხნის განმავლობაში მოგზაურობა შეუძლებელი იყო. და მე ძალიან მადლობელი ვარ, რომ ამდენ თემს აქ ერთმანეთთან დაკავშირება შეუძლია: ინდონეზიასა და სხვა ქვეყნებში. მოდით, ერთად აღვნიშნოთ ეს დღე, როგორც დღესასწაული. ახლა ფილიპინების ეკლესიის ორმოცდამეათე წლისთავს ვზეიმობთ, რაც მადლიერების გამოხატვის საფუძველს გვაძლევს. ორმოცდაათი წლის წინ ღვთის ერთგული მსახურები ჩამოვიდნენ ამ ქვეყანაში და ფილიპინელებს ეს დიდი ღვთიური გზავნილი აუწყეს: იესო მოვა! მან კი მოციქულები მოავლინა, რათა მისი დაბრუნებისათვის მოგვამზადონ მათ. ის მოვა და თავის სასუფეველში წაგვიყვანს.

16 ოქტომბერს პირველმოციქულმა ჟან-ლუკ შნაიდერმა ფილიპინების ახსეს საიუბილეო ღვთისმსახურება ჩაატარა ტუპში,
მარცხნივ: ძმების ოთახში

ორმოცდაათი წლის შემდეგაც აღთქმა ჯერ არ აღსრულებულა.

ჩვენ იესო ქრისტეს ხატად გარდავიქმნებით. მის სასუფეველში მასთან და ერთმანეთთან სრული თანაზიარება გვექნება. მადლობა ღმერთს, რომ ფილიპინებზე ბევრმა ადამიანმა მიიღო და იწამა ეს გზავნილი. და, აი, ნაბიჯ-ნაბიჯ ღვთის საქმე თანდათან წინ წავიდა. და დღეს ბევრი ძმა და და გვყავს მრავალ თემში. სწორედ ის არის დიდად სასიხარულო, რომ ამ ქვეყანაში ამდენი ერთგული ძმა და და გვყავს.

ჩვენს მადლიერებას იმათი გახსენებით გამოვხატავთ, ვინც ნიადაგი მოამზადა და იმათი, ვინც მერე მოვიდა და გაანოყიერა იგი. უჰ. ყოვლისა, მადლობას ვუხდით ღმერთს, რომელმაც ზრდა გვიწყალობა. მისი შემწეობისა და კურთხევის გარეშე ვერაფერს შევძლებდით. ასე, რომ მადლობას ვუხდით ღვთის მსახურებს, ძმებსა და დებს, რომლებიც ჯერ კიდევ ცოცხლები არიან და იმათ, ვინც უკვე იმქვეყნად იმყოფება, ასევე ვაქებთ და ვადიდებთ ღმერთს, მამას, ძეს და სულიწმიდას, მისი წყალობისა და კურთხევისათვის.

მაშასადამე, ორმოცდაათი წლის წინ ისინი იუწყებოდნენ, რომ იესო მოვა, რომ მას ჩვენი მის სასუფეველში წაყვანა სურს, რომ ქრისტეს ხატად გარდავიქმნებით და, როგორც ქრისტეს ეკლესიას, თანაზიარება გვექნება ღმერთთან და ურთიერთშორის. თუმცა ორმაცდაათი წლის შემდეგ ეს აღთქმა ჯერ კიდევ არ აღსრულებულა. ყველა ხედავს, რომ უფალი არ მოსულა. მე იესო ქრისტესნაირი არ ვარ. ჯერ კიდევ ერთი საცოდავი ცოდვილი ვარ. თანაზიარება ეკლესიაში კარგია, მაგრამ ნამდვილად არ არის სრულყოფილი. მაშ, რაშია საქმე ამ აღთქმასთან დაკავშირებით? პასუხი ასეთია: ვიდრე ამქვეყნად ვართ, რწმენით უნდა ვიაროთ და არა იმით, რასაც ვხედავთ. ეს აღთქმა ჯერ კიდევ ძალაშია. ჩვენ კი უნდა გვწამდეს და გავაგრძელოთ ჩვენი გზა, რამეთუ ამ აღთქმის აღსრულება განვიცადოთ. ეს ყოველთვის ასე იყო.

გაიხსენეთ აბრაამი: ღმერთმა საოცარი აღთქმა მისცა მას. „გეყოლება ძე და შენ გახდები მამამთავარი დიდი ერისა“. მაგრამ აბრაამი მოხუცებული იყო. ადამიანური თვალთახედვით, ეს შეუძლებელი ჩანდა. თუმცა ღმერთმა უთხრა: „აქ ვერ გაკურთხებ, უნდა წახვიდე შენი სამშობლოდან და იმ ქვეყანაში მიხვიდე, რომელსაც გაჩვენებ.“ აბრაამს წარმოდგენა არ ჰქონდა, სად შეიძლებოდა ეს ქვეყანა ყოფილიყო, როგორი იყო, მაგრამ ირწმუნა და წავიდა. საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა აღთქმის აღსრულებას. თავად იესომ თქვა: „აბრაამს პრინციპში ჩემი ნახვა სურდა: იესო ქრისტესი, ღვთის ძისა.“ აბრაამს კი საუკუნეები უნდა ეცადა, ვიდრე მონატრების წყურვილს დაიცხრობდა და იესო ქრისტეს, მხსნელს, დედამიწაზე ნახავდა. მას დიდხანს უნდა ეცადა და ბოლომდე შეენარჩუნებინა რწმენა, რათა აღთქმის აღსრულებას მოსწრებოდა.

ღმერთი მოსესთან და ისრაელის ხალხთან მივიდა და უთხრა: „შესანიშნავ ქვეყანაში მიგიყვანთ, აღთქმულ ქვეყანაში. მაგრამ ამისათვის ეგვიპტიდან უნდა გამოხვიდეთ და ფეხით იაროთ.“ დიდი ხნის განმავლობაში უნდა შეენარჩუნებინათ მათ რწმენა და ევლოთ, ვიდრე სურვილი აუსრულდებოდათ და ღვთის აღთქმის განხორციელებას გამოსცდიდნენ. ღმერთმა ერთგულად შეასრულა აბრაამისა და ისრაელის ხალხისთვის მიცემული პირობა. თუმცა თავდაპირველად უნდა ერწმუნათ მათ და მერე ევლოთ, რწმენით ევლოთ.

შეგნებულად გავიმეორე, რომ პირობა, რომელიც ღმერთმა მისი მოციქულების მეშვეობით მოგვცა, ჯერ კიდევ ძალაშია. მაგრამ ის ჯერ არ აღსრულებულა და დღეს ჩვენ კვლავ რწმენით უნდა ვიაროთ. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ნამდვილად დარწმუნებულნი ვართ იმის ჭეშმარიტებაში, რაც ღმერთმა გვითხრა. აბრაამისათვის ღვთის სიტყვა გაცილებით მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ის, რისი დანახვაც საკუთარი თვალით შეეძლო. რწმენა იმაში აბსოლუტურ დარწმუნებას ნიშნავს, რომ ღვთის სიტყვა ჭეშმარიტია; ჭეშმარიტია არა ის,



მისი აღთქმის აღსრულებას მოთმინებით ველოდებით.

რასაც ვხედავ, რასაც ვიაზრებ, არამედ ის, რასაც ღმერთი ამბობს. ღვთის მიმართ რწმენა მისადმი ნდობასაც ნიშნავს. ღვთის მიმართ რწმენა იმასაც ნიშნავს, რომ ვენდობი მას და მჯერა, რომ იგი დანაპირებს შეასრულებს და მას ეს შეუძლია. რაც შეეხება აბრაამს, შეუძლებელი ჩანდა, რომ მას და მის ცოლს მათ ასაკში შვილები ჰოლოდათ. მაგრამ აბრაამი ენდობოდა ღმერთს: მას შეუძლია ეს და გააკეთებს კიდეც. ე. ი., რწმენა იმასაც ნიშნავს, რომ დარწმუნებული ვარ, რასაც ღმერთი ამბობს, ჭეშმარიტებაა. მე ვენდობი მას, მას ეს შეუძლია და გააკეთებს კიდეც. და რამეთუ დარწმუნებული ვარ და ნდობაც მაქვს, მოთმინებით დაველოდები. ეს არის რწმენა და ეს არის ის, რაც უნდა გავაკეთოთ: ვიყოთ დარწმუნებულნი იმაში, რომ ღვთის სიტყვა გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, რისი დანახვა ან გაგებაც შემიძლია. ჩვენ ვენდობით ღმერთს იმაში, რომ მას შეუძლია და შეასრულებს კიდეც დანაპირებს, ჩვენ კი მოთმინებით დაველოდებით მისი აღთქმების აღსრულებას.

მაშასადამე, სწორედ ეს არის რწმენა, მაგრამ უნდა ვიაროთ კიდეც. ისრაელის ხალხს უნდა ერწმუნა, რომ ღმერთი გაათავისუფლებდა მათ, მაგრამ ამისათვის ეგვიპტიდან უნდა წამოსულიყვნენ, რასაც გამბედაობა სჭირდებოდა. მარტივი სათქმელი არ იყო: „კარგი, მოდით, წავიდეთ, უბრალოდ გზას დავადგეთ!“ ეგვიპტიდან წამოსვლა საკმაოდ რთულად გადასაწყვეტი იყო. მაგრამ მათ გარისკეს და გზას დაადგნენ. ღმერთმა კი დაისხნა ისინი ეგვიპტიდან. თქვენთვის ნაცნობია მეწამული ზღვის ისტორია და მას კიდევ ერთხელ არ მოვყვები. ისრაელიანები გადაურჩნენ გაჭირვებას. თუმცა ეს ამბავი ამით არ დამთავრებულა, ეს ამ ისტორიის დასაწყისი იყო. როცა მეწამული ზღვის მეორე მხარეს გადავიდნენ და ეგვიპტელებისგან გათავისუფლდნენ, იქ უკვე უდაბნო დახვდათ. ისღა დარჩენოდათ, რომ რწმენით ევლოთ.

ძმებო და დებო, ჩვენ გვაქვს აღთქმა: ღმერთს თქვენი გათავისუფლება და მის სასუფეველში შეყვანა სურს. მაგრამ იმისათვის, რომ კეთილი ღმერთის სასუფეველში მოხვდეთ, ბოროტის სამფლობელოდან უნდა გამოხვიდეთ. ჩვენ ვთქვით: „დიახ, მსურს, უარი ვუთხრა ბოროტს.“ და ამ რწმენისა და მზადყოფნისათვის ღმერთმა წყლისა და სულისგან ნათლობის წყალობით გაგვათავისუფლა. ამის დანახვა ვერ შევძელით, მაგრამ წყლისა და სულისგან ნათლობის მეშვეობით ბოროტის ბატონობისგან გავთავისუფლდით. მაგრამ ეს არ იყო ისტორიის დასასრული, ეს იყო ისტორიის დასაწყისი. ახლა კი ისე უნდა ვიაროთ, როგორც ისრაელის ხალხი დადიოდა. და რას ნიშნავს „ვიაროთ“? ისრაელის ხალხის მსგავსად, ჩვენც უნდა მივყვეთ ღვთის მითითებებს. ღმერთი ყოველ დღე ეუბნებოდა მათ, თუ რა უნდა გაეკეთებინათ, და მათ უნდა შეესრულებინათ მისი ნათქვამი. ჩვენც უნდა გავაგრძელოთ სიარული, რამეთუ ღვთიური მითითებები შევასრულოთ. ის გვასწავლის, როგორ გვიყვარდეს. გვასწავლის, თუ როგორ შევძლებთ, ვიზარდოთ იესო ქრისტეს შემეცნებაში. სულიწმიდის მეშვეობით გვეუბნება, თუ როგორ შეიძლება, რომ ქრისტეს ხატად გარდავიქმნათ. უფრო მეტი და უკეთ სიყვარული

უნდა ვისწავლოთ. უნდა გავამრავლოთ ჩვენი ცოდნა იესო ქრისტეს შესახებ. უნდა დავძლიოთ ძველი ბუნება და ახალ კაცად ვიქცეთ იესო ქრისტეში. ისრაელის ხალხს უდაბნოს გადალახვა და თან მტრებთან ბრძოლა მოუწია. ჩვენც უნდა შევებრძოლოთ ბოროტს და ვძლიოთ ცდუნებებს. და ეს არის მუდმივი პროცესი, წინ უნდა ვიაროთ და გადავლახოთ, და გადავლახოთ, და ვძლიოთ. და კიდევ იყო ერთი მიზეზი, თუ რატომ სურდა ღმერთს, რომ ისრაელიანებს უდაბნოში ეხეტიალათ და გადაელახათ იგი. მას სურდა, რომ ისინი ჭეშმარიტი, ნამდვილად ერთად შეკრული ერი გამხდარიყვნენ. ვინაიდან ადრე ისინი თორმეტი ტომისგან შედგებოდნენ და ეგვიპტეში თვითეული თავისთვის დადიოდა და ცხოვრობდა, უდაბნოში ხეტიალის დროს კი ნამდვილ ერთობად ჩამოყალიბება ისწავლეს, ერთად დგომა ისწავლეს. ისინი მიხვდნენ, რომ ერთმანეთი სჭირდებოდათ, რომ ერთმანეთს ეკუთვნოდნენ.

მოკლედ ვიტყვი: უნდა ვირწმუნოთ და უნდა ვიაროთ, რამეთუ ჩვენი სიყვარული და ცოდნა იესო ქრისტესთან მიმართებაში გაიზარდოს, რამეთუ წინ წავიდეთ სულიერ განვითარებაში. მიზანი უნდა დავისახოთ, მტერს უნდა შევებრძოლოთ და ვისწავლოთ, გავხდეთ ერთნი იესო ქრისტეში, ერთად ქრისტეში. ბუნებრივია, როცა ისრაელის ხალხი უდაბნოსკენ დაადგა გზას, ღვთის აღთქმის დანახვა არ შეეძლო. თუმცა გრძნობდნენ, რომ ღმერთი მათთან იყო. ცხადია, მათ ღმერთის დანახვა არ შეეძლოთ, მაგრამ მოსეს მეშვეობით მისი ხმის გაგონება შეძლეს. მოსემ კი უთხრა მათ: „ღმერთი გეტყვით, თუ რა უნდა გააკეთოთ!“

ვერც დღეს ვხედავთ ღმერთს, მაგრამ მისი ხმის გაგონება სულიწმიდისა და მოციქულების მეშვეობით შეგვიძლია. ხშირად გვქონია ასეთი განცდა: „ღმერთი ზუსტად იმას მეუბნება, რაც მჭირდება, მან ყველაფერი იცის.“ ჩვენ შეგვიძლია განვიცადოთ, რომ ღმერთი ჩვენთან არის და გველაპარაკება. ღვთის ხალხს ღმერთის სუფევის განცდა შეეძლო, ვინაიდან ყოველ დღე იღებდა ღვთისგან საკვებს. ისინი მანანას იღებდნენ, ეს დიდი სასწაული იყო. მაგრამ, სამწუხაროდ, შეეჩვივნენ მას და იგი ჩვეულებრივ საჭმელად იქცა მათთვის. და საერთოდ დაივიწყეს, რომ ეს სასწაული იყო. საყვარელო ძმებო და დებო, ჩვენც მივიღეთ ციური საკვები. ჩვენ ქრისტეს ხორცსა და სისხლს ვიღებთ, როცა წმიდა ზიარებას ვზეიმობთ. ეს ციური პურია, დიდი სასწაული. მაგრამ ამდენი წლის შემდეგ ალბათ უბრალოდ მივეჩვიეთ იმას, რომ ნორმალურია, როცა ღვთისმსახურებაზე მოვდივართ და ზიარებას ვიღებთ. ძმებო და დებო, არასოდეს დაივიწყოთ, თუ რას ნიშნავს ეს: ამ საკვებს თავად ღმერთი გვთავაზობს, და ეს დიდი სასწაულია. არ დაივიწყოთ წმიდა ზიარების სასწაული.

მათ ღვთის შემწეობაც გამოსცადეს. ხშირად ისეთ სიტუაციაში აღმოჩენილან, საიდანაც გამოსავალს ვერ ხედავდნენ. ხოლო ღმერთი ამ დროს აჩვენებდა: „ჩემთვის შეუძლებელი არაფერია, შემიძლია დაგეხმაროთ. მომენდეთ.“ ეს იყო ის, რაც მათ უდაბნოში ხეტიალის დროს განიცადეს. ისინი გრძნობდნენ, რომ ღმერთი მათ შორის იყო. მისი სიტყვის, მანანასა და მისი შემწეობის მეშვეობით. ეს ჩვენც გვეხება. ღმერთი მათი ერთგული რჩებოდა მაშინაც, როცა ისინი უორგულდებოდნენ მას. ღმერთს ბევრი მიზეზი ჰქონდა ამის სათქმელად: „ფარ-ხმალს ვყრი, აღარ ხართ ჩემი ერთგულნი, აღარ მენდობით, მაშ, დარჩით იქ, სადაც ხართ.“ არა, ღმერთს ისინი არასოდეს მიუტოვებია ბედის ანაბარა. გულახდილად რომ ვთქვათ, ადამიანური თვალსაზრისიდან გამომდინარე, იესოს ბევრი

თანაქადაგებისათვის საკურთხეველთან მიიწვიეს სამხ. მოციქულის თანაშემწე ჯონ ფედტი და სამხ. მოციქული ენრიკე მინიო

პირველოციქულმა ხელდასხმით მოციქულებად აკურთხა ფრედი ნუიადი (შუაში) და მედი ზაბალი (მარჯვნივ)

მიზეზი ჰქონდა ამის სათქმელად: „დაე, წავიდნენ, ვნებდები. რამდენჯერ ვუთხარი, რა უნდა გაეკეთებინათ და რა არა, ისინი კი ყველაფერს უკუღმა აკეთებდნენ.“ სულ მინიმუმ, მას ჩემთვისაც შეეძლო ეს ეთქვა, მე კი თქვენ გეუბნებით, რომ მას ბევრი მიზეზი აქვს ამის სათქმელად. მაგრამ როგორც ბიბლიაში წერია, იესოს არ რცხვენია, რომ ჩვენი ძმაა. და ის ჩვენთან რჩება, ჩვენი სისუსტეების მიუხედავად.

ჩვენ გვწამს, გზას ვაგრძელებთ, აღთქმა ჯერ არ აღსრულებულა, მაგრამ შეგვიძლია შევიგრძნოთ, რომ ღმერთი ჩვენს შორის არის. მაშასადამე, დანებების მიზეზი არ გვაქვს. ძალიან გამიხარდა, როცა გუნდმა ეს საგალობელი შეასრულა: „არასოდეს დანებდე“. დღევანდელი გზავნილი ალბათ გასაგებია თქვენთვის, არასოდეს დანებდეთ, გააგრძელეთ გზა რწმენით. არ გვაქვს დანებებისა და ეგვიპტეში დაბრუნების მიზეზი. როცა გადავწყვიტეთ, უარი გვეთქვა ბოროტისათვის, ღმერთმა მისი ბატონობისგან გვიხსნა, მაშ, ნუ დანებდებით და ნუ დაბრუნებით ეგვიპტეში. არ თქვათ: „იესომ არ შეასრულა დანაპირები, კვლავ ცოდვას დავუბრუნდები და სასურველის მისაღებად ცოდვის გზას გამოვიყენებ.“ დარწმუნებული ვარ, გესმით, რასაც ვგულისხმობ. არ დაბრუნდე ეგვიპტეში მარტო იმიტომ, რომ იქ კარგია და კომფორტული. ვიცი, თქვენი ცხოვრება ბევრად მარტივი იქნებოდა, ცოტათი რომ შეგეცოდათ. გთხოვთ, არ დანებდეთ, იარეთ რწმენით, ნუ დაბრუნდებით ეგვიპტეში.

ბევრჯერ იდგა ისრაელის ხალხი იმ ცდუნების წინაშე, რომ უბრალოდ დარჩენილიყვნენ იქ, სადაც იყვნენ. ისინი ამბობდნენ: „აღთქმა არასოდეს აღსრულდება, ბოლოს და ბოლოს, აქ არც ისე ცუდია, მოდით, დავრჩეთ.“ სამწუხაროა, რომ ბევრმა ქრისტიანმა იმედი დაკარგა. მათ უკვე აღარ სწყურიათ ღვთის სასუფეველში საუკუნოდ ყოფნა, ღმერთთან სრული თანაზიარება. ისინი დანებდნენ, აღარ ისწრაფვიან ქრისტეს ხატად გარდაქმნისკენ და ამბობენ: „უბრალოდ აქ დარჩენის საშუალება მოგვეცით.“ ჩვენ გვწამს ღმერთის, მორჩილები ვართ და გვინდა, რომ ღმერთი მიწიერ ცხოვრებაში დაგვეხმაროს, პრობლემები მოგვიგვაროს, გვაკურთხოს, მაგრამ ეს ყველაფერი მიწიერ ცხოვრებაზეა კონცენტრირებული, მხოლოდ მიწიერზე. ცათა სასუფეველში ღმერთთან ცხოვრების იმედი კი გაქრა. გთხოვთ, ძმებო და დებო, იმედი არ დაკარგოთ. აღთქმა კვლავ ძალაშია. ნუ გამოიყენებთ თქვენს რწმენას და იესო ქრისტეს მხოლოდ ამქვეყნიური საქმეებისათვის. ნუ დანებდებით! ჩვენ ქრისტეს მეორედ მოსვლისათვის ვემზადებით.

ისრაელის ხალხი იმ ცდუნების წინაშე იდგა, რომ ეთქვა: „დაგვღალა მოსემ. სხვა წინამძღოლი გვინდა. არ ვართ მისით კმაყოფილნი, ის არც ისე კარგია. მას კარგი არაფერი უთქვამს. მოდით, სხვა წინამძღოლი ვეძებოთ.“ მოდით, ერთგულად მივსდიოთ დღეს მოციქულებს. ისინი ჩვენს ღვთის სასუფეველში წასაყვანად არიან მოვლენილნი. ზოგჯერ მოგვწონს, რასაც ისინი გვეუბნებიან, ზოგჯერ კი არა. მაგრამ ვიცით, რომ მოციქულები ღვთის სასუფეველში

დამსახურებულ პენსიაში გაშვებული მოციქულები ალფრედო პასკუალი (მარცხნივ) და კლეოფას ბუალი (მარჯვნივ) პირველმოციქულთან ერთად ღვთისმსახურების შემდეგ

ჩვენს წასაყვანად არიან მოვლენილნი. მოდით, ბოლომდე გავყვეთ მათ. ვიცით, რომ აღთქმა ჯერ არ აღსრულებულა. იესო ჯერ არ მოსულა, ჩვენ ჯერ კიდევ არ ვართ სრულყოფილნი როგორც ქრისტეს ხატი, არც ეკლესიაა სრულყოფილი, ჩვენი ერთობა ჯერ კიდევ შორს არის სრულყოფილებისგან, აღთქმები ჯერ კიდევ შეუსრულებელია, მაგრამ ჩვენ არ დავნებდებით. კვლავაც ვიწამებთ და წინ ვივლით, რწმენით ვივლით.

და ძვირფასო ძმებო და დებო, იმაზე წუწუნის ნაცვლად, რომ აღთქმა ჯერ კიდევ არ აღსრულებულა, გავაცნობიეროთ, თუ რას ნიშნავს ის ჩვენთვის. ცხადია, ჯერ კიდევ არ ვართ სრულყოფილნი, ჯერ კიდევ არ ვართ ქრისტეს ხატი, მიუხედავად იმისა, რომ ამდენი წელია ამაზე ვმუშაობთ. რას ნიშნავს ეს ჩემთვის? ეს იმას ნიშნავს, რომ მე მთლიანად იესოს წყალობაზე ვარ დამოკიდებული. მე მჭირდება იესო ქრისტეს წყალობა. მარტო ვერასდროს შევძლებ, გავხდე სრულყოფილი. მე მჭირდება მისი წყალობა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვიყო თავმდაბალი და ასე ვილოცო: „იესო, იყავ მოწყალე ჩემს მიმართ! შენი წყალობის გარეშე დავიღუპები.“ და რამეთუ ვაცნობიერებთ, რომ ჯერ არ ვართ სრულყოფილნი, იესოს თავმდაბლად ვთხოვთ წყალობას. დიახ, ჩვენ, მღვდელმსახურნი, ჯერ კიდევ არ ვართ სრულყოფილნი, ეს აშკარაა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვერ ვიქნებით კმაყოფილნი იმით, რანიც ვართ. უნდა გავავრცოთ ჩვენი ცოდნა და გაგება სახარებასთან მიმართებაში. ჯერ კიდევ უნდა ვისწავლოთ, თუ როგორ გვიყვარდეს უფრო მეტად და უკეთ. ჩვენც იესო ქრისტეს წყალობაზე ვართ დამოკიდებულნი, მაგრამ გზა უნდა გავაგრძელოთ, რათა წინ წავიდეთ მსახურებაში. მართალია, უფალს ორმოცი, ორმოცდაათი წელია ვემსახურებით, მაგრამ სასწავლი ჯერ კიდევ გვაქვს. მსახურნო ღვთისა, ძვირფასო თანამშრომელნო, ვიყოთ თავმდაბალნი, ჩვენ ჯერ კიდევ არ ვართ ისეთები, როგორიც ღმერთს სურს რომ ვიყოთ. ნუ დანებდებით, წინ იარეთ. სწავლა, სწავლა და სწავლა. რა თქმა უნდა, ეკლესია ნამდვილად არ არის სრულყოფილი. რა თქმა უნდა, აღთქმა ჯერ არ აღსრულებულა, არც ერთობა არის სრულოფილი. შეიძლება ამაზე ბევრი ვიწუწუნოთ. თუმცა გონიერი ღვთის შვილები ამბობენ: „უფრო მეტი უნდა გავაკეთო ეკლესიის ერთიანობისთვის. უფრო მეტი უნდა გავაკეთო ჩემი ძმისთვის, ჩემი დისთვის, უფრო მეტად უნდა მიყვარდეს ისინი. შემიძლია, რომ მოყვასის სიყვარულში უფრო მეტად წავიდე წინ.“ იმის ნაცვლად, რომ ვიწუწუნოთ, ვთქვათ: „შემიძლია მეტი და უკეთ გავაკეთო, დამეხარე ამაში.“

ძმებო და დებო, ეს არის დღევანდელი გზავნილი. წლების წინ ჩვენთვის მოცემული აღთქმა ჯერ კიდევ ძლაშია, მაგრამ ვიდრე დედამიწაზე ვიმყოფებით, უნდა გვწამდეს და ვიაროთ, რათა წინ წავიდეთ. ნუ დავნებდებით. რასაც ღმერთი ამბობს, ჭეშმარიტებაა, დარწმუნებულნი ვართ, ის შეასრულებს აღთქმულს, ჩვენ კი მოთმინებით დაველოდებით. მაგრმ გზა უნდა გავაგრძელოთ, რათა ჩვენი სიყვარული და ცოდნა გავზარდოთ. არ დავნებდებით, ვიბრძოლებთ მტრების წინააღმდეგ და ღვთის საქმის ერთიანობისათვის ვიმუშავებთ. ღვთის სუფევას ჩვენს შორის მისი სიტყვის, მოციქულობის, სულიწმიდისა და ყოფაში მისი შემწეობის მეოხებით განვიცდით. ჩვენ არ გვინდა ეგვიპტეში დაბრუნება, არ გვინდა აქ, დედამიწაზე დარჩენა, ღვთის სასუფევლისკენ გვინდა ვიაროთ და ერთად შევიდეთ იქ. გავყვეთ ქრისტეს, გავყვეთ მოციქულებს ბოლომდე და მაშინ ვნახავთ, რომ ღმერთი ერთგულია და ის ასრულებს დანაპირებს.

ძირითადი აზრები

დარწმუნებულნი ვართ, რომ ღმერთს ვუყვარვართ, და მას ვართ მინდობილნი. ჩვენ ვაგრძელებთ ჩვენს სულიერ განვითარებას და ვგრძნობთ, რომ ღმერთი ჩვენს გვერდით არის. ჩვენ ვნახავთ მისი აღთქმის აღსრულებას.

სამხარეო მოციქული რაინერ შტორკი აზერბაიჯანსა და საქართველოში

ბაქო, აზერბაიჯანის დედაქალაქი

გასეირნება ბაქოში

აზერბაიჯანი: სამხ. მოციქული რაინერ შტორკი მოციქულ ვოლფგან შუგთან, სამხ ხუცეს იურგენ ფოლმანთან და სამხ. მახარებელ რენე ფოლმანთან ერთად, რომლებსაც მეუღლეებიც ახლდნენ თან, 14 ოქტომბრიდან 16 ოქტომბრის ჩათვლით ვიზიტით იმყოფებოდა აზერბაიჯანში, ქვეყნის დერდაქალაქ ბაქოში. ბაქოში ჩასულებს ადგილზე დახვდნენ სამხ. მახარებელი მიშა ხიზანიშვილი და დიაკვანი ლაშა სარიშვილი საქართველოდან.

შაბათს, 15 ოქტომბერს, სამხ. მოციქულმა ღვთისმსახურება ჩაატარა ბაქოს თემის ერთმორწმუნე და-ძმებისათვის და მას საფუძვლად დაუდო სიტყვები ფსალმუნიდან 25, 8: „უფალო, შეიყვარე სავანე შენი სახლისა და ადგილი - კარავი შენი დიდებისა“. ღვთისმსახურებას 54 მორწმუნე ესწრებოდა, მათგან ორი მორწმუნე სულიწმიდით აღიბეჭდა და ბაქოს თემი კიდევ ორი ახალსამოციქულო ქრისტიანით გამრავლდა. ღვთისმსახურებაზე სასიამოვნო ატმოსფერო სუფევდა, რომელსაც ორღანზე დაკრული საგალობლები ამშვენებდა. ღვთისმსახურების შემდეგ სამხ. მოციქულმა თემს რეგიონალურ ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული ცვლილებები გააცნო, რაც მეორე დღეს თბილისში განხორციელდებოდა - სამხ. ხუცეს იურგენ ფოლმანისათვის სამხ. წინამძღვრის ფუნქციის მოხსნა, სამხ. მახარებელ მიხეილ ხიზანიშვილისათვის სამხ. წინამძღვრის დავალების დაკისრება და ასევე რენე ფოლმანის მის მოადგილედ დანიშვნა.

ბაქოს თემი. სამხ. მოციქული ბაქოში ღვთისმსახურებაზე

სამხ. ხუცესი იურგენ ფოლმანი (შუაში) და მღვდელი მახირ ისაევი ოჯახთან ერთად

ღვთისმსახურების ბოლოს ერთმა ერთმორწმუნე დამ მშვენიერი მელოდია შეასრულა ფლეიტაზე, რასაც პირველად ჰქონდა ადგილი თემში და რამაც მრევლში დიდი სიხარული გამოიწვია. ღვთისმსახურების დასრულების მერე ყველა და-ძმა და სტუმრები სუფრასთან მიიწვიეს ჩაის დასალევად და ადგილობრივი კერძების გასასინჯად. მეორე დღეს დელეგაციამ თბილისისკენ აიღო გეზი.

სამხ.მოციქული და მისი თანმხლებლები სამების ტაძართან

საქართველო: 16, ოქტომბერს, კვირას, სამხ. მოციქული რაინერ შტორკი მის თანმხლებლებთან ერთად საქართველოს, თბილისს, ეწვია. იმავე დღეს, 15 საათზე მან ქართელი და-ძმებისათვის იმსახურა. ვიდრე ღვთისმსახურებას დაიწყებდა, სამხ. მოციქულმა მისასალმებელი სიტყვით მიმართა მღვდელმსახურებს: „იღვაწე რწმენის კეთილი ღვაწლით“ (1. ტიმ. 6, 12). სამხ. მოციქულმა აღნიშნა, რომ ძმებმა დრო უნდა გამონახონ ერთმორწმუნე და-ძმებისათვის. არავინ არ უნდა დათმონ, ისინიც კი, ვინც უკვე დიდი ხანია აღარ დადის ღვთისმსახურებაზე. „თუ და-ძმანი ან მღვდელმსახურები ამასთან დაკავშირებით უარყოფით რეაქციას გამოამჟღავნებენ ჩვენს მიმართ, პატივისცემით უნდა მოვეკიდოთ მათ გადაწყვეტილებას. თუმცა ჩვენ შეგვიძლია ვილოცოთ მათთვის, რამეთუ ღმერთი დაეხმაროს მათ და ერთობაში დასაბრუნებელი გზა აპოვნინოს“, განაცხადა სამხ. მოციულმა. გარდა ამისა, ძმებს შორის ერთობა უნდა იყოს. თავისთავად ცხადია, დისკუსიებიდააზრთასხვადასხვაობაძმებისწრეშიც არსებობს. ამ დროს მთავარია ერთსულოვნება, ერთობლივად მუშაობა და ერთმანეთის დახმარება. კარგად უნდა გავაცნობიეროთ, რომ თვითეული ძმა თავად ღმერთმა აირჩია მისდა სამსახურად. „ეს არის თემის კეთილდღეობის მნიშვნელოვანი გასაღები“ - ხაზი გაუსვა სამხ. მოციქულმა რ. შტორკმა ძმებთან საუბრისას.

ღვთისმსახურების თემას წარმოადგენდა სიტყვები ესაია წინასწარმეტყველის წიგნიდან (40, 31): „ხოლო უფლის მოიმედენი ძალას განიახლებენ; ასწევენ ფრთებს, როგორც არწივები, გაიქცევიან და არ დაიქანცებიან, ივლიან და არ დაიღლებიან.“ ღვთისმსახურებას 87 მორწმუნე ესწრებოდა, საქართველოს ყველა თემიდან. ღვთისმსახურებაზე სასიამოვნო და მშვიდი ატმოსფერო სუფევდა. ადგილი ჰქონდა ცვლილებებს რეგიონალურ ხელმძღვანელობაში: სამხ. ხუცეს იურგენ ფოლმანს მოეხსნა სამხ. წინამძღვრის ფუნქცია საქართველოსა და აზერბაიჯანში. სამხ. მოციქულმა მას დიდი მადლობა გადაუხადა იმ ღვაწლისათვის და შრომისათვის, რომელიც მან ამ წლების განმავლობაში საქართველოსა და აზერბაიჯანში გასწია. სამხ. წინამძღვრის ფუნქციის შესრულება საქართველოსა და აზერბაიჯანში სამხ. მახარებელ მიხეილ ხიზანიშვილს დაევალა; სამხ. მახარებელი რენე ფოლმანი სამხ. წინამძღვრის მოადგილედ დაინიშნა საქართველოსა და აზერბაიჯანის თემებისათვის. მღვედელ ევგენი ტარანს, რომელიც რუსეთ-უკრაინის ომის გამო საქართველოში აღმოჩნდა, თბილისის თემში ღვთისმსახურების ჩატარების უფლება დაუდასტურდა.

მეორე დღეს, ორშაბათს, სტუმრებმა თბილისის ძველი უბანი და მცხეთა დაათვალიერეს. იმავე ღამეს კი სამშობლოში დაბრუნდნენ.

ცვლილებები რეგიონალურ ხელმძღვანელობაში

მღვდელი დონალდი და მისი მეუღლე კლერი

იესო მოწაფეებს ფეხებს ბანს

იოან. 13, 1-20-ის მიხედვით



დგებოდა პასექის
დღესასწაული. იესომ იცის,
რომ დატოვებს ამ ქვეყანას
და ღმერთთან, მამასთან,
წავა. მოწაფეებთან ერთად
იგი უკანასკნელ ზიარებას
ატარებს.

იესო სერობიდან
წამოდგა, გაიხადა
ზედა სამოსელი, აიღო
წინსაფარი და წელზე
შემოირტყა.
ამის შემდეგ ტაშტში
წყალი ჩაასხა და
მოწაფეებისათვის
ფეხების ბანას შეუდგა.
ფეხები წინსაფრით
გაუმშრალა.

როცა პეტრესთან მივიდა,
ამ უკანასკნელმა ჰკითხა:
„უფალო, შენ უნდა დამბანო
ფეხი?“
იესომ მიუგო: „ახლა ვერ
ხვდები, რას ვაკეთებ, მაგრამ
მერე მიხვდები.“
პეტრემ უთხრა: „უკუნისამდე
არ დამბან ფეხს!“
იესომ უპასუხა: „თუ არ
დაგბან, ჩემთან არ გექნება
წილი.“
ამაზე პეტრემ მიუგო: „უფალო,
მაშინ, მარტო ფეხები კი არა,



არამედ ხელები და თავიც
დამბანე!“
იესომ თქვა: „განბანილს აღარ
სჭირდება დაბანა, გარდა
ფეხისა, რადგან ის მთლიანად
სუფთაა და თქვენც სუფთანი
ხართ, ოღონდ ყველა არა.“
იესომ იცის, რომ ერთ-ერთი
მოწაფე გასცემს მას. და
უთხრა მოწაფეებს: „იცით რა
გიყავით? თქვენ მე მიწოდებთ
მოძღვარს და უფალს, და
სწორად ამბობთ,
რადგან ვარ. ამიტომ,
თუკი მე, უფალმა
და მოძღვარმა,
დაგბანეთ ფერხნი, თქვენც
ერთმანეთს უნდა დაბანოთ
ფერხნი. რადგან მაგალითი
მოგეცით, რათა, როგორც
მე მოგექეცით, თქვენც ისე
მოიქცეთ.“
„გეუბნებით: მსახური არ
არის ბატონზე დიდი და
მოციქული არ არის მის
მომავლინებელზე დიდი.
ვინც მიიღებს იმას,
ვისაც მე მივავლენ,
მე მიმიღებს,
ხოლო ვინც მე
მიმიღებს, ჩემს
მომავლინებელსაც
მიიღებს.“

წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოცემა 04. 2022 წ; ილუსტრაციები: მარელა ფორტუნატი

სტუმრად დევიდთან ნდოლაში (ზამბია)

„მულიშანი“ იკიბემბას ენაზე ნიშნავს: „როგორ ხარ?“ იკიბემბა 72 ენათაგან ერთ-ერთია, რომელზედაც ზამბიაში ლაპარაკობენ. იმ რეგიონში, სადაც მე ვცხოვრობ, ძირითადად ამ ენაზე საუბრობენ. ჩვენ მას „კოპერბელტს“ ვეძახით, ქართულად სპილენძის სარტყელი, ვინაიდან აქ დიდ მაღაროებში სპილენძს მოიპოვებენ. მე ნდოლა სიტიში ვცხოვრობ, კოპერბელტის პროვინციის დედაქალაქში.

ჩემი სახელია დევიდი, დავიბადე 2011 წლის 10 ივნისს. მალე 11 წლის გავხდები. ჩემი ოჯახი შდგება ოთხი წევრისგან: მამა, დედა, ჩემი ხუთი წლის და ლუბუტო და მე. მამაჩემი ტრევორი ჩვენი თემის მღვდელია. ის მარკეტინგის სფეროში მუშაობს ზამბიის სატელეფონო კომპანიაში. დედაჩემი მვეში ფსიქოთერაპევტია და დიდ საავადმყოფოში მუშაობს.



მე მეექვსე კლასში ვარ. ჩემი და იმავე სკოლაში დადის, სადაც მე, ოღონდ საბავშვო ბაღში. ჩემი საყვარელი საგნებია მათემატიკა, მუსიკა და ინგლისური.

ჩვენ ყველა ახალსამოციქულო ქრისტიანები ვართ; აქ მე თქვენ ჩვენს ეკლესიას გიჩვენებთ. ის ზამბიის ყველაზე დიდი ეკლესიაა, იქ 500 და-ძმა ეტევა. პირველმოციქულმა უკვე ორჯერ ჩაატარა აქ ღვთისმსახურება. მუსიკის გაკვეთილები და გუნდის რეპეტიცია შაბათობით ტარდება.

მე ორკესტრის ყველაზე პატარა წევრი ვარ ჩვენს რეგიონში და ვიოლინოზე ვუკრავ. დანარჩენი მუსიკოსები ძალიან მეხმარებიან; ხშირად ღვთისმსახურებასა და კონცერტებზე იმის საშუალებასაც მაძლევენ, რომ ერთ რომელიმე საგალობელს ვუდირიჟორო. ზოგჯერ ბავშვთა გუნდსაც ვდირიჟორობ. მე უბრალოდ მიყვარს ჩემი ეკლესია!

სახლშიც სიამოვნებით ვუკრავ. ვუკრავ ფლეიტაზე, ვიოლინოსა და ფორტეპიანოზე. ჩემი დაც დაინტერესებულია მუსიკით, მე მას ვიოლინოზე დაკვრას ვასწავლი. ჩემი ოცნებაა, რომ ერთ დღესაც ჩვენი ეკლესიის მუსიკალური განყოფილებისათვის დახმარება შევძლო.

თუ მუსიკით არ ვარ დაკავებული, ტელევიზორს ვუყურებ, ანდა კომპიუტერულ თამაშებს ვთამაშობ. ან ჩემს ბოცვრებზე ვზრუნავ და ვაჭმევ მათ. უბრალოდ სასიამოვნოა, როცა მათ კუნტრუშს ვუყურებ.

ძირითადი საკვები ზამბიაში სიმინდია. მაგ. სიმინდის ფქვილისგან მზადდება მარცვლეულის ფაფა მშიმა, რომელიც ყველა კერძს ახლავს თან. ჩემი საყვარელი საჭმელია ზამპი, იგი უხეშად დაფქვილი სიმინდის მარცვლებისგან კეთდება. პიცაც მიყვარს. დედას ხშირად ვეხმარები საჭმლის მომზადებაში. უკვე შემიძლია ბრინჯის მოხარშვა, კვერცხის შეწვა და მარტივი საუზმის მომზადება.



წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოვიდა 04. 2022 წ; ფოტოები: ბორიდი; stock.adobe.com – pwollinga, vencav, sabino.parente, Friedemeier, creativenature.nl

ქალების ორდინაცია: საფუძვლები

მოციქულები „ღვთის საიდუმლოთა მნეები“ (1. კორ. 4, 1) არიან. სწორედ იმ საკითხებთან მიმართებაში, რომლებზედაც ბიბლიას ერთმნიშვნელოვანი პასუხი არა აქვს, აუცილებელია, რომ მოციქულები, სულიწმიდის შემწეობითა და გონიერებით, სიცოცხლისუნარიან გადაწყვეტილებამდე მივიდნენ. კითხვა: არიან თუ არა კაცები და ქალები თანაბრად ღირსნი, რომ თანამდებობრივი უფლებამოსილება და თანამდებობრივი დავალება მიიღონ, ამ საკითხებს განეკუთვნება.

თავისი მოღვაწეობის პერიოდში პირელმოციქულმა ფერმა მრავალი იმპულსი მოგვცა ახალსამოციქულო ეკლესიის მოძღვრების დასაზუსტებლად და ასახსნელად. ის ახალი წიგნის შექმნის ინიციატორი გახდა, სადაც ახალსამოციქულო ეკლესიის მოძღვრება სავალდებულოდ არის წარმოდგენილი. ამ ძალისხმევის შედეგი კატეხიზმოა, რომელიც 2012 წელს – ე. ი., პირველმოციქულ ლებერის მოღვაწეობის დროს – გამოქვეყნდა.

ახალსამოციქულო ეკლესიის კატეხიზმოში ჩამოყალიბებულ იქნა ეკლესიის ახალსამოციქულო გაგება, სადაც გადამწყვეტი მნიშვნელობა იმ განსხვავებას ენიჭება, რომელიც ხილულ და ნაკლოვან ეკლესიებს და იესო ქრისტეს ხილულ და სრულყოფილ ეკლესიას შორის არსებობს. ეკლესიისა და საიდუმლოთა შესახებ მოძღვრების ჩამოყალიბება ახალსამოციქულო ეკლესიის ისტორიაში სიახლეს წარმოადგენს.

თუმცა მოძღვრება სასულიერო თანამდებობის შესახებ რეალურად ჯერ კიდევ არ არის წარმოდგენილი კატეხიზმოში. მაგრამ მასში სასულიერო თანამდებობის შესახებ მომავალი მოძღვრების რამოდენიმე არსებითი ასპექტი და აზრთა მსვლელობაა მოცემული. მაგალითისათვის მეხუთე რწმენის სიმბოლოსთან დაკავშირებული განმარტებები უნდა მოვიშველიოთ, სადაც მოცემულიაგანსხვავებასასულიერო თანამდებობასა და მსახურებას შორის და ორდინაციის არსებითი ელემენტები: „სასულიერო თანამდებობას ადამიანი ღვთიური ნების საფუძველზე ატარებს და არა ადამიანური გადაწყვეტილების შედეგად - ასე წერია სარწმუნოებრივ დებულებაში. მისი განხორციელება ან რეალიზება მოციქულობის მეშვეობით ხდება. სასულიერო თანამდებობა და მოციქულობა ერთმანეთთან უშუალოდ არის დაკავშირებული. იქ, სადაც მოციქულის სასულიერო თანამდებობა მოქმედებს, შესაბამისად სასულიერო მსახურებაც სრულდება (ნახე 7-ე თავი). ამასთან ერთად, სახარების საუწყებლად და მორწმუნეთა საკეთილდღეოდ, ქრისტეს ეკლესიაში კიდევ მრავალი მსახურება არსებობს, რომელთა აღსრულებაც ორდინაციის გარეშეა შესაძლებელი [...] სასულიერო თანამდებობაზე ორდინაცია სამ ასპექტს მოიცავს: ‘უფლებამოსილებას, კურთხევას და განწმედას’. ამასთანავე, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ‘უფლებამოსილებას’, პირველ რიგში, მღვდლის სასულიერო წოდების მატარებელი მღვდელმსახურებისათვის, ვინაიდან მოციქულის დავალებით მათ ცოდვათა მიტევების უწყებისა და წმიდა ზიარების გამონაწილების უფლება გააჩნიათ. მაშასადამე, მოციქულთა მიერ საიდუმლოთა სწორად მართვაში მღვდლის სასულიერო წოდების მატარებელი მღვდელმსახურებიც იღებენ მონაწილეობას. ხსნის ღვთიური ნების უწყებაც, რომელიც უნივერსალურია, მოციქულთა მიერ მინიჭებული ‘უფლებამოსილებით’ ხდება. ‘კურთხევა’ ღვთიური თანხლებისა და სულიწმიდის თანადგომის პირობას ნიშნავს როგორც მღვდლებისათვის, ასევე დიაკვნებისთვის. ‘განწმედა’ იმაზე მიუთითებს, რომ ღმერთს თავისი უწმიდესობითა და ხელშეუხებლობით თავად სურს იმოქმედოს ამ სასულიერო თანამდებობის მეშვეობით“.

სასულიერო თანამდებობის ახალსამოციქულო გაგების ფორმულირებაზე მუშაობა 2014 წლიდან დაიწყო. 2019 წელს გამოქვეყნდა სტატია „სასულიერო თანამდებობის ახალსამოციქულო გაგება – კომენტარი კატეხიზმოს 7-ე თავთან მიმართებაში“. ამ მსჯელობების მთავარ ცნებებს თანამდებობრივი უფლებამოსილება და თანამდებობრივი დავალება წარმოადგენს. ქვემოთ მოკლედ შევჩერდებით მათზე.

დასკვნა: მოციქულობას – მოციქულებს პირველმოციქულთან ერთობაში – ევალება, რომ სულიწმიდის ხელმძღვანელობით თემებში სათანადო წესრიგზე იზრუნოს. საკითხი იმის შესახებ, არიან თუ არა კაცები და ქალები თანაბრად ღირსნი, რომ თანამდებობრივი უფლებამოსილება და თანამდებობრივი დავალება მიიღონ, იმ საკითხების კატეგორიაში შედის, რომლებზედაც მოციქულებმა უნდა გასცენ პასუხი მომავლში და გადაწყვეტილებაც მათ მიიღონ.

თანამდებობრივი უფლებამოსილება და თანამდებობრივი დავალება

კატეხიზმოში უკვე მკაფიოდ არის ხაზგასმული ის, რომ „უფლებამოსილების' მომენტს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს" (კატ. 2. 4. 5). კატხიზმოში დავალებაზეც არის ლაპარაკი: „მღვდელმსახური მსახურებას მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს. ამისათვის იგი დავალებას მისი მოციქულისგან იღებს, რომელიც მას კონკრეტულ სამოღვაწეო რეგიონს გამოუყოფს" (კატ. 7. 8). ნახსენებ სტატიაში, რომელიც სასულიერო თანამდებობის გაგებას ეხება, - სამხ. მოციქულთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე - სავალდებულოა შემდეგი:

„სასულიერო თანამდებობა მოიცავს როგორც თანამდებობრივ უფლებამოსილებას, ასევე თანამდებობრივ დავალებას. თანამდებობრივი უფლებამოსილება თეოლოგიური ხასიათისაა, თანამდებობრივი დავალება კი - კანონიკური.

- თანამდებობრივი უფლებამოსილების განსაზღვრა: თანამდებობრივი უფლებამოსილება არის სამერთი ღმერთის სახელით მოქმედებისა და ლაპარაკის უფლება, იგი იესო ქრისტეზეა დაფუძნებული და მოციქულის მიერ ორდინაციასთან ერთად გადაიცემა სულიწმიდის ძალით. სასულიერო თანამდებობის მინიჭება ორდინაციის (ხელდასხმის) შედეგად ხდება. ის უქმდება მოციქულის მიერ თანამდებობიდან გადადგომაზე თანხმობით, სასულიერო თანამდებობიდან გათავისუფლების ან სიკვდილის შედეგად.
- თანამდებობრივი დავალების განსაზღვრა: თანამდებობრივი დავალების მიცემასთან ერთად მღვდელმსახურს იმის უფლება და ვალდებულება გადაეცემა, რომ მინიჭებული უფლებამოსილებით მან თავისი მსახურება სივრცითა და დროით განსაზღვრულ ფარგლებში აღასრულოს. თანამდებობრივი დავალება მთავრდება კომპეტენციის სფეროს შეცვლით, პენსიაში გასვლით, მოციქულის მიერ თანამდებობიდან გადადგომაზე თანხმობით, სასულიერო თანამდებობიდან გათავისუფლებით ან სიკვდილით."

თანამდებობრივი უფლებამოსილება საიდუმლოთა მინიჭებას, ორდინირებისა და ღვთის სიტყვის უწყების უფლებასაც ეხება. თანამდებობრივი დავალებით იმის რეგულირება ხდება, თუ რომელ კონტექსტში უნდა აღსრულდეს თანამდებობრივი უფლებამოსილება - თემში, მხარეში თუ სამხ. ეკლესიაში. ამ მხრივ მიზანშეწონილია, რომ თანამდებობრივი დავალება გავიგოთ როგორც კანონიკური სიდიდე - და შესაბამისად როგორც პრაგმატული.

არც კატეხიზმოში და არც გვიანდელ განმარტებებში კონკრეტულად არ არის ლაპარაკი იმაზე, რომ თანამდებობრივი უფლებამოსილება და თანამდებობრივი დავალება მარტო მამაკაცებს შეიძლება გადაეცეთ. თუნდაც მარტო სახელწოდებაში „მღვდელმსახური" ნავარაუდებია, რომ მასში მამაკაცებზეა ლაპარაკი. მაგრამ აქვე სასულიერო თანამდებობის კონტექსტში გენდერულად ნეიტრალურ ენაზეა ლაპარაკი: „ადამიანი (...) თავის სასულიერო თანამდებობას ღვთის ნებისამებრ ატარებს და არა ადამიანური გადაწყვეტილების საფუძველზე" (კატ. 2. 4. 5).

დასკვნა: ჩვენი ეკლესიის წერილები, რომლებიც სასულიერო თანამდებობას ეხება, არ შეიცავს იმის თეოლოგიურ დასაბუთებას, რომ მხოლოდ მამაკაცების ორდინირებაა შესაძლებელი. ამდენად, ისმის კითხვა: ბიბლიური მოწმობების ფონზე რამდენად მდგრადია სასულიერო თანამდებობის შემოფარგვლა მამაკაცებით, რაც მეორე საუკუნიდან მოყოლებული ზოგადი ქრისტიანული ტრადიციით არის განპირობებებული? დასახელებულ პრობლემაზე სათანადო პასუხის გაცემა შეუძლებელია საზოგადოებაში კაცისა და ქალის თანასწორობაზე მითითებით, რაც არაერთი სახელმწიფოს კონსტიტუციაშია ასახული, არამედ ეს შესაძლებელია მხოლოდ ბიბლიური კვლევის შედეგების თეოლოგიური შეფასებით. ამ კონტექსტში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ბიბლიაში ნათქვამს ადამიანზე, რომ ის ღვთის ხატია - როგორც ეს შესაქმეს შესახებ ცნობებში გვხვდება.

ადამიანის ღვთისხატობა

ორივე ცნობა შესაქმეს შესახებ, რომლებსაც დაბ. 1, 1-2, 4-ში და დაბ. 2, 4-3, 24-ში ვხვდებით, წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს თეოლოგიურ საფუძველს იმისათვის, რომ ადამიანზე, როგორც

ქმნილებაზე, ისე ვილაპარაკოთ. იმ დროს, როდესაც შესაქმეს შესახებ პირველი ცნობა უფრო აბსტრაქტული ჩანს, შესაქმეს შესახებ მეორე ცნობას აშკარად მხატვრული და თხრობითი ხასიათი აქვს.

პირველი ცნობა შესაქმეს შესახებ

გამონათქვამი, რომ ადამიანი ღვთის ხატია, დაბ. 1, 26. 27-ს ეფუძნება. გარდა ამისა, ადამიანის ღვთისხატობაზე ლაპარაკი დაბ. 5, 1. 2-სა და დაბ. 9, 6-შიც არის. შესაქმეს შესახებ პირველ ცნობაში ღმერთი იმად არის ნაჩვენები, ვინც ექვს დღეში - ე. ი. დროის მონაკვეთში - რეალობა მხოლოდ თავისი სიტყვით ჩამოაყალიბა და მოაწესრიგა. შემოქმედების უკანასკნელ ფაზაში - მეექვსე დღეს - ღმერთმა ჯერ ის „ცოცხალი არსებანი“ შექმნა, რომლებიც მიწაზე ბინადრობენ (დაბ. 1, 24. 25). მას შემდეგ, რაც სხვადასხვა ცხოველი უკვე სახეზე იყო, იგი ადამიანის შექმნას შეუდგა:

„და თქვა ღმერთმა: ‘შევქმნათ ადამიანი ჩვენს ხატად და ჩვენს მსგავსად. და ბატონობდეს თევზებზე ზღვაში და ცის ფრინველებზე, და პირუტყვზე მთელს ქვეყანაზე, და ყოველ ქვეწარმავალზე, რომელიც იძვრის მიწაში.’ და შექმნა ღმერთმა ადამიანი თავის ხატად - ღვთის ხატად შექმნა იგი. და შექმნა ისინი მამაკაცად და დედაკაცად. და აკურთხა ისინი ღმერთმა და უთხრა მათ ღმერთმა: ‘ინაყოფიერეთ და გამრავლდით, და აღავსეთ ქვეყანა და დაეუფლეთ მას; და ბატონობდეთ ზღვის თევზებზე და ციურ ფრინველებზე, და ყოველ ცხოველზე, რომელიც კი მიწაზე დაცოცავს“ (დაბ. 1, 26-28).

ადამიანის შექმნა განსხვავდება ყველა დანარჩენი უსულო და სულიერის შექმნისგან. ეს იმაშიც ვლინდება, რომ ნეიტრალური ფორმით კი არ არის ნათქვამი: „იყოს ...“, როგორც ეს სხვა შემოქმედებითი საქმეების შემთხვევაში გვხვდება, არამედ, შეიძლება ითქვას, საკუთარი თავისადმი მიმართვის ფორმით: „შევქმნათ ადამიანი ... “. საკუთარი თავისადმი მოწოდება: შექმნას ადამიანი, გავრცობილია და, შეიძლება ითქვას, იმით გაძლიერებული, რომ ღმერთი თავის თავს ადამიანთან უშუალო ურთიერთობაში აყენებს, ვინაიდან ის მისი „ხატი“ უნდა გახდეს, მის „ხატად“და მის „მსგავსად“. ამით ღმერთი საკუთარ თავს ადამიანთან ურღვევ ურთიერთკავშირში აყენებს, ადამიანიც, თავის მხრივ, ღმერთთან ამყარებს ურღვევ კავშირს.

დაბ. 1, 27-ში ღმერთმა განახორციელა ის, რაც განიზრახა: მან შექმნა ადამიანი მის „ხატად“, კერძოდ, როგორც „კაცისა და ქალის მრავლობითობის ერთეული“. ცნება „ადამიანი“ აქ გამოყენებულია როგორც „სახეობის აღმნიშვნელი“ და მისი შინაარსობრივი დაკონკრეტება ბიოლოგიური კლასიფიკაციით ხდება: „კაცი და ქალი“. მაშასადამე, ღვთის ხატად შექმნილ ადამიანს თავიდან და სუბსტანციურად ორივე სქესი განეკუთვნება. „კაცი და ქალი ერთად ღვთის დიდებას ასახავენ, ღვთიურ შემოქმედებას ორივე ერთად აგრძელებს [...] თავისზე მაღლა ის [ადამიანი] მხოლოდ ღმერთს აყენებს. ამდენად, იგი ღმერთსა და ამქვეყნიურ სამყაროს შორის დგას.“ კაცი ან ქალი - ე. ი. „ადამიანი“ - თანაბრად წარმოადგენს ღვთის ხატს, ორივე იდენტურად, კერძოდ, უშუალოდ და უცილობლად დამოკიდებულია ღმერთზე. ამიტომაც კაცსა და ქალს - რომლებიც „ადამიანები“ არიან - ერთი და იგივე დავალება აკისრიათ შემოქმედებაში, კერძოდ, „იბატონონ“ და იყვნენ ღმერთის წარმომადგენლები შემოქმედებაში. გარდა ამისა, „მრავლობითობის ერთეული“ იმაზე მიუთითებს, რომ ადამიანი თავისი ეგოცენტრიზმით და თავად არჩეული იზოლაციით ვერ შეძლებს იცხოვროს ნამდვილი ადამიანური ცხოვრებით, ე. ი. იყოს ღვთის ხატი. მრავლობითობის ერთეულის დაკონკრეტება მხოლოდ მაშინ ხდება, როცა „შენ“-ზე გადასვლა ორმხრივად ხორციელდება. მაშასადამე, კაცი და ქალი, ქალი და კაცი ერთ მთლიანობას წარმოადგენენ, ვინაიდან ადამიანი თავიდანვე ერთობისკენ არის მიდრეკილი. ღმერთი აკურთხებს კაცსა და ქალს, მიმართავს მათ და დავალებას აძლევს: „ინაყოფიერეთ და გამრავლდით, და აღავსეთ ქვეყანა და დაეუფლეთ მას“. ადამიანს მიეცა ბრძანება, გამრავლდეს, რამეთუ ისტორიის განვითარების მანძილზე მასზე დაკისრებული დავალების შესრულება შეძლოს: წარმოადგინოს ღმერთი შემოქმედებაში და „იბატონოს“ დედამიწაზე.

მეორე ცნობა შესაქმეს შესახებ

იმ დროს, როდესაც შესაქმეს შესახებ პირველ ცნობაში ამქვეყნიური სამყარო განხილულია როგორც ერთი მთლიანობა, ხოლო მისი ჩამოყალიბება ექვს ეპოქად არის დაყოფილი, შესაქმის შესახებ მეორე ცნობას მოთხრობის ფორმა აქვს მოქმედი პირებით, რომლებიც ერთმანეთზე რეაგირებენ. შესაქმეს შესახებ მეორე ცნობა ერთგვარ „გაგრძელებას“ წარმოადგენს. თუმცა ის უფრო ადრეა შედგენილი და სხვა ტრადიციული ხაზიდან მომდინარეობს. მაშასადამე, შესაქმეს შესახებ ორივე ცნობა ერთმანეთისგან იზოლირებული კი არ არის, არამედ ერთ მთლიანობად არის შეკრული. „გადმოცემა ედემის ბაღის შესახებ“ გაგებულია როგორც კომენტირება, გაღრმავება და კორექტურა იმ გადმოცემისა, სადაც ზოგადად ცოცხალი არსებებისა და განსაკუთრებით ადამიანის შექმნაზეა საუბარი.

დაბ. 2,7-ში იმაზეა ლაპარაკი, რომ ადამიანი ღმერთმა მიწისგან შექმნა. ღმერთმა მექოთნესავით

გამოძერწა ერთგვარი ფიგურა მიწის მტვრისგან. სახელწოდება „ადამი“ აქ საერთოდ ადამიანს აღნიშნავს, გენდერული დიფერენცირების გარეშე. სიტყვა „ადამი“ „Adamah“-ზე მიუთითებს, დედამიწაზე, ნიადაგზე, რისგანაც ადამიანი შეიქმნა.

თვალშისაცემია ის, რომ აქ არ გვხვდება ღვთისხატობის ცნება, რომელსაც დაბ. 1, 27. 28-ში მოცემულ ადამიანის შექმნის ისტორიაში ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება. თუმცა ადგილი აქვს შესაბამის ღვთიურ ქმედებას, კერძოდ, იმას, რომ ღმერთმა ადამიანს „სიცოცხლის სუნთქვა“ შთაბერა. ფიგურამ, რომელიც ღმერთმა მიწისგან შექმნა, „სიცოცხლის სუნთქვა“ უშუალოდ მისგან მიიღო. ღმერთი ადამიანს მომთხოვნი, შეიძლება ითქვას, ინტიმური ფორმითაც მიმართავს, ისე, როგორც სხვა არც ერთ ქმნილებას. „სიცოცხლის სუნთქვას“, რომელიც ფორმამიცემულმა თიხამ მიიღო, არა მარტო ფიზიკური სიცოცხლისუნარიანობა მოჰყვა შედეგად, რაც ცხოველებისთვისაც არის დამახასიათებელი, არამედ მისი პიროვნულობის ჩამოყალიბების წინაპირობაც შექმნა. „სიცოცხლის სუნთქვა“, ამავე დროს, ღვთის სუნთქვაც არის და, აქედან გამომდინარე, ადამიანის უნიკალურობის საფუძველი შემოქმედებაში. მაშ ასე, „გადმოცემაში ედემის ბაღის შესახებ“ ადამიანის შექმნაც ღვთისხატობის კონტექსტშია მოცემული.“

მაშასადამე, ადამიანის განსაკუთრებული ადგილი, მისი მისია, რომ იმოქმედოს შემოქმედებაში, შესაქმის შესახებ მეორე ცნობაშიც ვლინდება. ადამიანი „ცოცხალ არსებად“ იქცევა, იმად, ვისაც შეუძლია და უნდა მოახდინოს მისი გარემოს ფორმირება: „და აიყვანა უფალმა ღმერთმა ადამი და დასვა იგი ედემის ბაღში, რათა დაემუშავებინა და დაეცვა იგი“ (დაბ. 2, 15). „დამუშავება“ და „დაცვა“ კონსტრუქციული საქმიანობაა, რაც ადამიანმა უნდა განახორციელოს; აქ სახეზეა პარალელები „ბატონობასთან“ მიმართებაში, რომელიც დაბ. 1, 26-შია მოცემული.

დაბ. 2, 18-ში ნაჩვენებია, რომ ადამიანის ცხოვრება ყოველთვის საზოგადოებაში უნდა მიმდინარეობდეს: „არაა კარგი ადამიანის მარტოობა!“ „შემწე“, რომელიც ადამიანისათვის უნდა შეიქმნას, მისი შესაფერისი უნდა იყოს. 18-ე მუხლის სიტყვასიტყვითი თარგმანი ასე ჟღერს: „შემწე როგორც მისი მსგავსი“. „მისი მსგავსი“ (ანალოგი), შეიძლება ითქვას, „შემწეს“ კვალიფიცირებას ახდენს: „ადამიანს [...] შემწე უნდა ჰყავდეს, რომელიც არა მხოლოდ მასთან „ერთად“ და მის „გვერდით“ იქნება, არამედ მისი თანასწორიც იქნება და ადამი მასში საკუთარ თავს შეიცნობს“.

იმაზე, თუ ვინ შეეფერება ადამიანს, ვინ არის მისი შესაფერისი „მსგავსი“ (ანალოგი), ლაპარაკია 22-ე და 23-ე მუხლებში. „მსგავსი“ მიწისგან კი არ იქმნება, არამედ უკვე შექმნილი ადამიანის ხორცისგან. „ნეკნი“, რისგანაც ქალი შეიქმნა, იმის სიმბოლოს წარმოადგენს, რომ ადამიანის და მისი „მსგავსის“ სხეული ერთგვარი და ერთარსია. ხაზი ესმება ადამიანსა და მის „მსგავსს“ შორის ფიზიკურ ერთობას: „ეს ძვალი ჩემს ძვალთაგანია, ეს ხორცი ჩემს ხორცთაგანია. და ეწოდა მას დედაკაცი, რადგან კაცისგანაა გამოღებული იგი.“

ადამს, კაცს, რომელიც ყოველგვარი სქესობრივი სპეციფიკაციის გარეშე გადიოდა იოლად, ვისშიც, შეიძლება ითქვას, სქესობრიობის პოტენციალი იყო ჩადებული, ახლა უკვე შესწევდა უნარი, „მსგავსში“, რომელიც მისი შესაფერისი იყო, თავის თავი მამაკაცად, ხოლო იგი „დედაკაცად“ შეეცნო და ეწოდებინა მისთვის ქალი. ორივე მათგანს შორის ფიზიკური ერთობა არსებობს, ისინი ერთი და იგივე „მასალისგან“ არიან შექმნილნი. კაცი და ქალი თანაბრად არიან შექმნილნი ღმერთის მიერ, ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე მასალისგან და ამას ღვთის უშუალო ქმედებას უმადლიან.

კაცსა და ქალს შორის იერარქიაზე მინიშნება მხოლოდ ცოდვით დაცემის ისტორიის მიხედვით (დაბ. 3, 1-24) ხდება - დაბ. 3, 16. კაცის „ბატონობა“, რაზედაც ცოდვით დაცემის შემდეგ არის საუბარი და, ამდენად, ცოდვის შედეგად შეიძლება ჩაითვალოს, პირველად იმაში ვლინდება, რომ ადამმა ქალს სახელი დაარქვა: „ევა, რადგან ის უნდა გამხდარიყო დედა ყოველი ცოცხალისა“ (დაბ. 3, 20). ეს სახელდება დაბ. 2, 20-ის პარალელს წარმოადგენს: „და უწოდა ადამმა სახელები [...] მინდვრის ყველა ცხოველს.“ ამ კონტექსტის მიხედვით ამიერიდან ქალი კაცის დაქვემდებარებაშია.

დასკვნა: შესაქმეს შესახებ ძველი აღთქმის ორივე ცნობაში ღმერთსა და ადამიანს შორის ახლო ურთიერთობაა წარმოჩენილი. მაშასადამე, ადამი, როგორც ადამიანი - კაცისა და ქალის სახით - ბატონობის (დაბ. 1, 26), „დამუშავებისა“ და „დაცვის“ დავალებას იღებს. ორივე მათგანს შორის ფიზიკური ერთობა არსებობს, ისინი ერთი და იგივე „მასალისგან“ არიან შექმნილნი. კაცსა და ქალს შორის იერარქიაზე მინიშნება მხოლოდ ცოდვით დაცემის ისტორიის მიხედვით (დაბ. 3, 1-24) ხდება - დაბ. 3, 16.

რათეოლოგიურშედეგებსხედავსახალსამოციქულო ეკლესია ამ ბიბლიური მოვლენების აღწერიდან გამომდინარე? სწორედ ამას შეეხება „კომუნიტის“ შემდეგი ნომრის სტატია რუბრიკით „დოქტრინა“.

პროგრამა

01. 01. 2023 წ.	აიბენშტოკი (გერმანია)
06. 01. 2023 წ.	ლოდვარი (კენია)
08. 01. 2023 წ.	ნაირობი (კენია)
15. 01. 2023 წ.	ბიტიგჰაიმ-ბისინგენი (გერმანია)
03. 02. 2023 წ.	დოლიზი (კონგოს რესპუბლიკა)
05. 02. 2023 წ.	პუენტ-ნუარი (კონგოს რესპუბლიკა)
26. 02. 2023 წ.	პრაია (კაპ ვერდე)
05. 03. 2023 წ.	ბუქარესტი (რუმინეთი)
12. 03. 2023 წ.	ვუდბერი, ნიუ-იორკის შტატი (აშშ)
19. 03. 2023 წ.	ლიუნებურგი (გერმანია)
25. 03. 2023 წ.	დასადგენია (ტოგო)
26. 03. 2023 წ.	დასადგენია (ბენინი)

New Apostolic Church
International